



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით (შემდგომში - ბიბლიოთეკა) სარგებლობის წესები შეიქმნა საქართველოს კანონს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად.

მუხლი 1. გაწვევრიანება

- 1.1. ბიბლიოთეკაში ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების გაწვევრიანება ხდება ავტომატურად უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე. სტუდენტების პირად მონაცემებს ბიბლიოთეკას აწვდის უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახური.
- 1.2. უნივერსიტეტის პერსონალის და სხვა მკითხველების რეგისტრაცია ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობა

- 2.1. საბიბლიოთეკო რესურსის მკითხველზე გაცემა/არ გაცემა დამოკიდებულია მასალის კატეგორიაზე, ეგზემპლარების რაოდენობაზე და მოთხოვნის სიხშირეზე.
- 2.2. ნაბეჭდი ერთეული - წიგნი, რომლის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დაცული საბიბლიოთეკო ფონდში არ გაიცემა. ასეთი რესურსით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.
- 2.3. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული წიგნის ერთი ეგზემპლარია დაცული ბიბლიოთეკაში, მაგრამ მასზე ყოველდღიური მოთხოვნა არ არის, მისი გატანა შესაძლებელია.
- 2.4. მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკიდან ერთროულად გაიტანოს 5 წიგნი.

მუხლი 3. გატანის ვადები და დაბრუნება

- 3.1. სახელმძღვანელოს გატანის და დაბრუნების ვადა (თუ ფონდში დაცულია საჭირო რაოდენობა) შეადგენს - 1 სემესტრს.
- 3.2. დამხმარე ლიტერატურის გატანის და დაბრუნების ვადა - 15- 30 დღეს.
- 3.3. მხატვრული ლიტერატურის გატანის და დაბრუნების ვადა შეადგენს - 2 კვირას.
- 3.4. მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში, დაბრუნების შესახებ ინფორმაცია მკითხველს მიეწოდება პირადად წიგნის გატანისას, ასევე ელექტრონული ფოსტით.



- 3.5. გატანილი რესურსის სხვა მკითხველების მიერ აქტიურად მოთხოვნის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დროზე ადრე დააბრუნოს რესურსი. ამის შესახებ მას ინფორმაცია მიეწოდება ელექტრონული ფოსტით ან სატელეფონო შეტყობინებით.
- 3.6. თუ წიგნზე მოთხოვნა არ არის მკითხველს შეუძლია წიგნის დაბრუნების გადავდება მოთხოვოს, როგორც პირადად ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- 3.7. გატანილი წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს ის იმავე დასახელების წიგნით ან იმავე სახის სხვა მოთხოვნადი საბიბლიოთეკო ერთეულით, ბიბლიოთეკართან შეთანხმების საფუძველზე.
- 3.8. დიპლომის აღების წინ სტუდენტი ვალდებულია სრულად დაფაროს ბიბლიოთეკის დავალიანება. ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე სტუდენტზე დიპლომი არ გაიცემა.

მუხლი 4. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

- 4.1. მკითხველი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- 4.2. მკითხველი ვალდებულია გაუფრთხილედეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
- 4.3. მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკის მდუმარე ზონა გამოიყენოს მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისთვის.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.

- 5.1. ორშაბათიდან პარასკევი დღის ჩათვლით 10:00 -21:00 საათამდე;
- 5.2. შაბათი - 10:00-18:00 საათამდე;